

შპს „ინვენტა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2024 წ.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

იმ „კუკური ქვაბაია - დამოუკიდებელი აუდიტორი“

ქ. თბილისი, ავ. წერეთლის გამზ. № 57, ს/კ 251721132, აუდიტორის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-208194 გაც.: 11.11.2016 წ. საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატი № 397, გაც.: 19.08.2021 წ. მომ. 577-41-62-00

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

შპს „ინვენტ“-ს

სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ დასკვნითურთ

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2024 წ.

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ინვენტ“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის

პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნაგანმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია

ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში,

აუდიტორი:



კუკური ქვაცაბაია

შპს „ინვერტა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული საღაროში	0	1	2
ფული სანბანკო ანგარიშებზე	24264	76267	839
სავაჭრო მოთხოვნები	0	5544	23585
მიმწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	10563	44308	9890
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	810	1122
სულ მიმდინარე აქტივები	34827	126930	35438
გრძელვადიანი აქტივები			
საოფისე აღჭურვილობა	16	7	3
ავეჯი და სხვა ინვესტირება	7	6	1
იქრით აღებული ქონების გაუმჯობესება	1	1	1
გრძელვადიანი ინვესტიციები	0	40052	2527
სულ გრძელვადიანი აქტივები	24	40066	2532
სულ აქტივები	34851	166996	37970
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2	18364	16
გადასახდელი ხელფასები	-10	2	2
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2204	85030	3448
მოკლევადიანი სესხები	0	20935	24522
გადასახდელი გადასახადები	0	-1	
სესხები პარტნიორებისაგან	1036	21	2
გადასახდელი პროცენტები	1066	2392	529
გადავადებული მოგების გადასახადი	4832	6040	1420
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7473	132783	29939
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	35435	34226	8044
დაუფარავი ზარალი	-8058	-13	-13
სულ საკუთარი კაპიტალი	27377	34213	8031
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	34851	166996	37970

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი



შპს „ინვერტა“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წელი

შემოსავლები	2023 წ.	2022 წ.
შემოსავლები რეალიზაციიდან	0	17497
არასაოპერაციო შემოსავლები	54831	25729
საპროცენტო შემოსავლები	0	22
სულ შემოსავლები	54831	43248
ხარჯები		
ოვილირებული	0	9602
შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები	0	368
საკონსულტაციო ხარჯები	725	303
შრომის ანაზღაურება	164	172
საპენსიო შენატანი	3	3
იჯარა	17	19
საკომუნიკაციო ხარჯები	4	2
ბანკის მომსახურება	8	22
სხვა ხარჯები	14	30
საპროცენტო ხარჯი	205	1925
არასაოპერაციო ზარალი	61736	0
სულ ხარჯები	62876	12446
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	-8045	30802
მოგების გადასახადი		4620
წმინდა მოგება		26182

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი




შპს „ინვერტა“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
ფული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	76268	841
საოპერაციო საქმიანობა		
საოპერაციო შემოსავლები		201
სატრანსპორტო მომსახურება		0
თანხების დაბრუნება		2076
საქონელი და მომსახურება	-653	-2908
გადახდილი გადასახადები	-137	-85
იჯარის საფასური	-17	-16
ხელფასი	-129	-135
ბანკის მომსახურება	-8	-24
საპენსიო შენატანი	-7	-7
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	-951	-898
საინვესტიციო საქმიანობა		
უძრავი ქონების შეძენა		
უძრავი ქონების გაყიდვა		
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		
სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა	13517	
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	13517	0
საფინანსო საქმიანობა		
შემოსულობა მოთხოვნების გაყიდვიდან	4936	72442
მოკლევადიანი სესხები		1819
სესხის დაფარვა	-1681	0
შემოსულობები ცესიის ხელშეკრულებიდან		236
პარტნიორის სესხები	1039	213290
ვალდებულებების დაფარვა	-67877	-159562
ფიზიკური პირების სესხის დაფარვა		-44962
საკურსო სხვაობის გავლენა	-965	-6858
პარტნიორი შენატანის დაბრუნება	-22	-77
სესხის გაცემა იურიდიულ პირზე		-3
მოგების განაწილება		0
ფული საფინანსო საქმიანობიდან	-64570	76325
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	24264	76268

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი



შპს „ინვენტა“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წელი

დასახელება	განთავსებული კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01.01.2022 წ.	0	0	8031	8031
საანგარიშგებო წლის წინა წლის მოგება/ზარალი	0	0	26182	26182
მოგების განაწილება	0	0	0	0
ცვლილება საანგარიშგებო წლის წინა წლის კაპიტალში	0	0	26182	26182
ნაშთი 31.12.2022 წ.	0	0	34213	34213
მოგების გადასახადის კორექტირება			1209	
საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი	0	0	-8045	-8045
მოგების განაწილება	0	0	0	0
ცვლილება საანგარიშგებო წლის წლის კაპიტალში	0	0	-6836	-6836
ნაშთი 31.12.2023 წ.	0	0	27377	27377

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი



შპს „ინვენტა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში	0	1	2
ფული სანბანკო ანგარიშებზე	24264	76267	839
სავაჭრო მოთხოვნები	0	5544	23585
მიმწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	10563	44308	9890
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	810	1122
სულ მიმდინარე აქტივები	34827	126930	35438
გრძელვადიანი აქტივები			
საოფისე აღჭურვილობა	16	7	3
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7	6	1
იქრით აღებული ქონების გაუმჯობესება	1	1	1
გრძელვადიანი ინვესტიციები	0	40052	2527
სულ გრძელვადიანი აქტივები	24	40066	2532
სულ აქტივები	34851	166996	37970
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2	18364	16
გადასახდელი ხელფასები	-10	2	2
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2204	85030	3448
მოკლევადიანი სესხები	0	20935	24522
გადასახდელი გადასახადები	0	-1	
სესხები პარტნიორებისაგან	1036	21	2
გადასახდელი პროცენტები	1066	2392	529
გადავადებული მოგების გადასახადი	4832	6040	1420
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7473	132783	29939
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	35435	34226	8044
დაუფარავი ზარალი	-8058	-13	-13
სულ საკუთარი კაპიტალი	27377	34213	8031
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	34851	166996	37970

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი

შპს „ინვენტა“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წელი

შემოსავლები		2023 წ.	2022 წ.
შემოსავლები რეალიზაციიდან		0	17497
არასაოპერაციო შემოსავლები		54831	25729
საპროცენტო შემოსავლები		0	22
სულ შემოსავლები		54831	43248
ხარჯები			
თვითღირებულება		0	9602
შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები		0	368
საკონსულტაციო ხარჯები		725	303
შრომის ანაზღაურება		164	172
საპენსიო შენატანი		3	3
იჯარა		17	19
საკომუნიკაციო ხარჯები		4	2
ბანკის მომსახურება		8	22
სხვა ხარჯები		14	30
საპროცენტო ხარჯი		205	1925
არასაოპერაციო ზარალი		61736	0
სულ ხარჯები		62876	12446
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		-8045	30802
მოგების გადასახადი			4620
წმინდა მოგება			26182

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი

შპს „ინვენტა“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
ფული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	76268	841
საოპერაციო საქმიანობა		
საოპერაციო შემოსავლები		201
სატრანსპორტო მომსახურება		0
თანხების დაბრუნება		2076
საქონელი და მომსახურება	-653	-2908
გადახდილი გადასახადები	-137	-85
იჯარის საფასური	-17	-16
ხელფასი	-129	-135
ბანკის მომსახურება	-8	-24
საპენსიო შენატანი	-7	-7
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	-951	-898
საინვესტიციო საქმიანობა		
უძრავი ქონების შეძენა		
უძრავი ქონების გაყიდვა		
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		
სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა	13517	
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	13517	0
საფინანსო საქმიანობა		
შემოსულობა მოთხოვნების გაყიდვიდან	4936	72442
მოკლევადიანი სესხები		1819
სესხის დაფარვა	-1681	0
შემოსულობები ცესიის ხელშეკრულებიდან		236
პარტნიორის სესხები	1039	213290
ვალდებულებების დაფარვა	-67877	-159562
ფიზიკური პირების სესხის დაფარვა		-44962
საკურსო სხვაობის გავლენა	-965	-6858
პარტნიორი შენატანის დაბრუნება	-22	-77
სესხის გაცემა იურიდიულ პირზე		-3
მოგების განაწილება		0
ფული საფინანსო საქმიანობიდან	-64570	76325
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	24264	76268

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი

შპს „ინვენტა“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წელი

დასახელება	განთავსებული კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01.01.2022 წ.	0	0	8031	8031
საანგარიშგებო წლის წინა წლის მოგება/ზარალი	0	0	26182	26182
მოგების განაწილება	0	0	0	0
ცვლილება საანგარიშგებო წლის წინა წლის კაპიტალში	0	0	26182	26182
ნაშთი 31.12.2022 წ.	0	0	34213	34213
მოგების გადასახადის კორექტირება			1209	
საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი	0	0	-8045	-8045
მოგების განაწილება	0	0	0	0
ცვლილება საანგარიშგებო წლის წლის კაპიტალში	0	0	-6836	-6836
ნაშთი 31.12.2023 წ.	0	0	27377	27377

დირექტორი:

ავიგდორ იარდენი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინვენტა“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2019 წლის 19 სექტემბერს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: **405353889**

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ავიგდორ იარდენი (პ/ნ **01601141393**), ორმაგი მოქალაქე: საქართველო, ისრაელი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, მცხეთის რაიონი, ს. ახალუბანი 1-ლი II შეს. N 13

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

1. კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა;

კომპანიის დირექტორია: ავიგდორ იარდენი (პ/ნ **01601141393**);

კომპანიის მთავარი ბუღალტერია რომან გნედინ.

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტის“) საფუძველზე.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის,

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

დასახელება	31დეკემბერი 2023 წელი	31დეკემბერი 2022 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844
100 რუბლი/ლარი	2.9916	3.6770

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

შენობები

მანქანა დანადგარები

საოფისე ავეჯი და ინვენტარი

კომპიუტერული ტექნიკა

ავტომობილები

იჯარით აღებული ქონების

კეთილმოწყობა

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

30 წელი

10-15 წელი

5-7 წელი

5 წელი

10 წელი

იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილი უნდა იყოს თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

3.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან. ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შესაბამემა კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული. ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისხება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში. ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი”, “ფინანსური შემოსავალი” ან სხვა “ფინანსური ხარჯი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

ა) სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

გ) ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

დ) სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები

კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში იი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა. ფინანსური აქტივების გაუფასურება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებლებზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით. სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში. სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა. გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

3.10 მოგების გადასახადი

კომპანია განსაზღვრავს მოგების გადასახადს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებადი მოგება არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა). მოგების გადასახადის გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდების თანხის 15/85-ით.

3.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდამოკლება და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდამოკლებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები• საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.12 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.13 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიდა წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2023 წელს ხდებოდა შემდეგნაირად:

გრძელვადიანი აქტივები	31.12.2022 წ.	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	31.12.2023 წ.
საოფისე აღჭურვილობა	7	9	0	0	16
ავაჯი და სხვა ინვენტარი	6	1	0	0	7
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	1	0	0	0	1
გრძელვადიანი აქტივები	53982	0	53982	0	0
სულ	53996	10	53982	0	24

5. ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	ნაშთი 01.01.2023 წ.	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი 31.12.2023 წ.
ნაში ფული სალაროში	1	7	8	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2	353	350	5
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	31	1258	1187	102
ვიტა ბანკი რუსეთი	1745	90216	69588	22373
სოვკომბანკი რუსეთი	281	261	542	0
ევრაზიის ბანკი ყაზახეთი	780	2618	1617	1781
ჰოუმ ბანკი ყაზახეთი	73428	143638	217064	2
სულ	76268	238351	290356	24263

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	ნაშთი 01.01.2023 წ.	მატება	შემცირება	ნაშთი 31.12.2023 წ.
Roin World	5544	0	5544	0
არიელ რუდნიცკი	0	553	3	550
ოუკჰორნი	0	29523	19510	10013
სოვკომბანკი	30798	4936	35734	0
შპს სტანკოფლოტი	797	0	797	0
12 ჯგუფი UAB	12	0	12	0
სულ	37151	35012	61600	10563

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2023 წლის მდდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	ნაშთი 01.01.2023 წ.	შემცირება	ზრდა	ნაშთი 31.12.2023 წ.
სსს სოვკომბანკი	18358	20877	2519	0
Kopini Ltd.	2214	10	0	2204
სსს სოვკომბანკი (სტანკოფლოტი)	816	988	172	0
სსს სოვკომბანკი (იმპერილ ფონდი II)	67550	67687	137	0
სსს სოვკომბანკი (კომეო)	14450	14450	0	0
სულ	103388	104012	2828	2204

8. სესხები

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გააჩნია შემდეგი სასესხო ვალდებულებები:

დასახელება	ნაშთი 01.01.2023	შემცირება	ზრდა	ნაშთი 31.12.2023
კოპინი ლიმიტედ	1618	1681	63	0
ვიკეანი	8	8	0	0
ოუკპორნი აშშ დოლარი 1	3242	3242	0	0
ოუკპორნი აშშ დოლარი 2	3242	3242	0	0
ოუკპორნი აშშ დოლარი 3	12473	12473	0	0
ოუკპორნი ევრო	168	168	0	0
ოუკპორნი რუბლი	184	184	0	0
პარტნიორის სესხი	21	26	1041	1036
სულ	20956	21024	1104	1036

9. ამონაგები

შემოსავლები	2023 წ.	2022 წ.
შემოსავლები რეალიზაციიდან	0	17497
არასაოპერაციო შემოსავლები	53148	25729
საპროცენტო შემოსავლები	0	22
სულ შემოსავლები	43248	43248

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
საკონსულტაციო ხარჯები	725	303
შრომის ანაზღაურება	153	172
საპენსიო შენატანი	3	3
იჯარა	17	19
საკომუნიკაციო ხარჯები	4	2
ბანკის მომსახურება	8	22
სხვა ხარჯები	12	30
საპროცენტო ხარჯი	205	1925
არასაოპერაციო ზარალი	61721	0
სულ ხარჯები	62848	2476

11. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

დასახელება	გბელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
ნაშთი 01.01.2023 წ.	8462	118262
სესხები	8462	12494
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	0	105768
ნაშთი 31.12.2023 წ.	0	3240
სესხები	0	1036
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	0	2204

ფინანსური აქტივები

დასახელება	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
ნაშთი 01.01.2023 წ.	0	113420
ფული და სულის ექვივალენტები	0	76268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	37152
ნაშთი 31.12.2023 წ.	0	34827
ფული და სულის ექვივალენტები	0	24264
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	10563

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2023 წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აშშ დოლარსა და ევროზე მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსი:

დასახელება	31დეკემბერი 2023 წელი	31დეკემბერი 2022 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844
100 რუბლი/ლარი	2.9916	3.6770

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

სავალუტო რისკის მგრძნობელობა წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიბდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ინვენტა“

1.	ზოგადი ინფორმაცია, მენეჯმენტი	2
2.	საქმიანობის მიმოხილვა	3
3.	კომპანიის განვითარების მიმართულებები	4
4.	რისკების მართვა	4

ქ. თბილისი

2024 წ.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინვენტა (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2019 წლის 19 სექტემბერს, მარეგისტრირებული ორგანოა რეესტრის ეროვნული სააგენტო და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 405353889.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ავიგდორ იარდენი (პ/ნ 01601141393), ორმაგი მოქალაქეობა: საქართველო, ისრაელი.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფ. ახალუბანი, 1-ლი ქუჩა, მე-2 შესახვი N 13.

კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ნებისმიერ საქმიანობას. კომპანია თავის ეკონომიკურ საქმიანობას ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ ახორციელებს.

კომპანიის დამფუძნებელი ავიგდორ იარდენი ასევე არის კომპანიის მართვისა და წარმომადგენლობის სრული უფლებამოსილების დირექტორი.

მას აქვს მენეჯმენტის დიდი გამოცდილება, რომელიც მიღებულია ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა ბიზნეს ღონისძიებებში მონაწილეობით, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კომპანიის აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების განყოფილებას ხელმძღვანელობს ინგა მიროტაძე, რომელსაც აქვს ამ სფეროში მნიშვნელოვანი გამოცდილება. კომპანიის იურიდიულ მხარდაჭერას და ანალიტიკური მონაცემების მომზადებას ახორციელებენ გარედან მოწვეული სპეციალისტები.

კომპანიის ფაქტობრივი საქმიანობის სფეროებია:

ა) კომერციული საქმიანობა.

ბ) საინვესტიციო საქმიანობა

გ) ფინანსური საქმიანობა

ამ საქმიანობის ფარგლებში კომპანიამ ძირითადად მოიზიდა სესხები სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან საბრუნავი კაპიტალის შესავსებად და სხვა აუცილებელი მიზნებისთვის.

2. საქმიანობის მიმოხილვა

ა) კომერციული საქმიანობა

2023 წელს საქონლის ყიდვა-გაყიდვისა და მიწოდების მნიშვნელოვანი ოპერაციები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა

ა) საინვესტიციო საქმიანობა

ფინანსური შედეგი მიღებულ იქნა საწესდებო კაპიტალის აქციების ყიდვა-გაყიდვით, 2023 წლის ბოლოსათვის კომპანიას სხვა პირების კაპიტალში წილები არ ქონია.

ვ) ფინანსური საქმიანობა

2023 წელს, საფინანსო საქმიანობის ფარგლებში, კომპანიამ დაფარა ადრე მოზიდული ნასესხები სახსრების ძირითადი ნაწილი. წლის ბოლოს კომპანიის ანგარიშებზე ნაღდი ფულის ნაშთმა საკუთარი სახსრები 24,2 მლნ ლარი შეადგინა.

მთლიანმა წმინდა აქტივებმა 2023 წლის ბოლოს 27,3 მლნ ლარი შეადგინა და აღსანიშნავია, რომ კომპანიამ თითქმის მთლიანად დაფარა გადახდილი ვალდებულებები. შედეგად მიღებული ზარალი 2023 წლისთვის ძირითადად განპირობებული იყო საკუროსო სხვაობებით. კომპანია 2024 წელს დივიდენდების გადახდას არ გეგმავს, მაგრამ მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიყენოს სახსრები ბიზნესის განვითარებისთვის, მათ შორის მაღალლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის.

კომპანიას არ აქვს ვალდებულება მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის ბოლოს.

3. კომპანიის განვითარების მიმართულებები

კომპანიის განვითარების პერსპექტიული მიმართულებები განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკის მიმართულებებითა და ტენდენციებით, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კომპანიის განვითარების ოპტიმალური მიმართულებები.

მნიშვნელოვანია, რომ დასახული მიზნები იყოს რეალისტური, არ მოითხოვდეს ფინანსური რესურსების გადაჭარბებულ ხარჯვას და უზრუნველყოს მომგებიანობის მისაღები დონე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე ყველა შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის მენეჯმენტმა განსაზღვრა შემდეგი განვითარების პრიორიტეტები:

- ა) ინვესტიციები IT სფეროში;
- ბ) ინვესტიცია უძრავ ქონებაში.

კომპანიას აქვს გეგმა ინვესტიცია განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ქ. თბილისში, უძრავი ქონების მშენებლობაში.

კომპანიის მიერ დაქირავებული გამოცდილი სპეციალისტები თითოეულ ამ სფეროში აკეთებენ შესაბამის გამოთვლებს, რის საფუძველზეც კომპანიის მენეჯმენტს წარუდგენენ ყოვლისმომცველ ბიზნეს გეგმებს.

4. რისკების მართვა

კომპანიის მენეჯმენტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე, მიზნებისა და პროცესების ეფექტურ განხორციელებაზე პასუხისმგებლობის შენარჩუნებაზე, და დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და მართვის უფლებამოსილება ორგანიზაციის ფინანსურ მხარეს.

სესხის აღებისას სავალუტო რისკის თავიდან აცილების ყველაზე მარტივი გზა არის ეგრეთ წოდებული „ბუნებრივი ჰეჯირება“, ე.ი. სესხის აღება იმავე ვალუტაში, რომლითაც ვიღებთ შემოსავალს. შპს „ინვენტას“ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ სჯობს სესხის აღება აშშ დოლარში, რადგანაც ძირითადი შემოსავალი მიიღება აშშ დოლარებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საბაზისო ვალუტა გაუფასურდება, საჭირო იქნება მეტი ფულის გაცვლა, რათა ხელი შეუწყოს სესხის დაფარვას, გაიზარდოს სესხზე გადასახდელი თანხა და შემცირდეს შემოსავალი.

გრძელვადიანი იპოთეკური სესხის შემთხვევაში, დამატებით გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებისას შესაძლოა შემცირდეს როგორც შეძენილი ქონების ღირებულება უცხოურ ვალუტაში გამოხატული, ასევე, საბოლოო ჯამში, უცხოური ვალუტის სესხის მოცულობაც. შეიძლება აღმატებოდეს შეძენილი ქონების ღირებულებას. ამიტომ, იპოთეკური სესხის აღებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სესხი იყოს დენომინირებული საბაზო ვალუტაში.

სავალუტო რისკის დაზღვევის კიდევ ერთი გზაა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება (ვალუტა, სვოპი ან ოფციონი).

ყველა სახის დაზღვევის მსგავსად, სავალუტო რისკის დაზღვევასაც აქვს გარკვეული ხარჯი. კერძოდ, ფორვარდული ოპერაციები იდება უფრო მაღალი კურსით მიმდინარე კურსთან შედარებით, ან ადგილობრივ ვალუტაში სესხს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვს, ვიდრე სესხი დოლარში ან ევროში. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, სავალუტო რისკის დაზღვევის სარგებელი ბევრად აღემატება დაზღვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

კომპანიის პოლიტიკაა რთულ სიტუაციებში რაციონალური და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება, კონკრეტულ ქმედებებზე გადასვლა მხოლოდ სიტუაციის დეტალური ანალიზისა და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასების შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი სფეროს ექსპერტების აზრის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული ქმედებების წარმართვა.

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბიზნეს რისკების დროულ იდენტიფიცირებას და მათ სწორ მართვას, სანამ ეს რისკები გავლენას მოახდენს ჩვენს ბიზნესზე. რისკების სწორად მართვას აქვს დამაჯერებელი გავლენა კომპანიების მომავალ ბიზნეს გადაწყვეტილებებზე.

რისკი წარმოიქმნება როგორც შიდა, ასევე გარე წყაროებიდან.

გარე რისკები

გარე წყაროების რისკები მოიცავს იმ პროცესებს, რომლებიც არ ექვემდებარება მენეჯმენტის უშუალო კონტროლს. ეს მოიცავს პოლიტიკურ საკითხებს, ეკონომიკურ მოვლენებს, ვალუტის კურსებს, საპროცენტო განაკვეთებს და ა.შ.

შიდა წყაროების რისკები

შიდა წყაროების რისკები მოიცავს ოპერაციულ, სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს.

რისკების დროული იდენტიფიცირებისა და მათზე ადეკვატური რეაგირების მიზნით კომპანია გეგმავს რისკების მართვის განყოფილების შექმნას, რომლის საქმიანობა დაფუძნებული იქნება რისკის მართვის შესაბამის სტრატეგიაზე. რისკის მართვის გუნდი პასუხისმგებელია თითოეული რისკის შეფასებაზე და მისი სიმწვავის განსაზღვრაზე. მწვავე რისკები არის ის რისკები, რომლებმაც შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბიზნესზე.

შპს „ინვენტა“-ს

დირექტორი:



ა.იარდენი